კულტურის, განათლების , სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის ანგარიში

წარმოგიდგენთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის 2023-24 წლის ანგარიშს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა კულტურისა და ხელოვნებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით, რითაც ჩვენ ნამდვილად ვამაყობთ. ალბათ ამით აისახება ჩვენ მუნიციპალიტეტში შემოქმედებითი მიმართულების გაერთიანებების სიმრავლე. დღეს მუნიციპალიტეტში მოქმედებს სამი თეატრი, სამი ფოლკლორული ანსამბლი, ორი ქორეოგრაფიული ანსამბლი, ვოკალური ანსამბლი, კვარტეტი და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი. მხოლოდ კულტურისა და ხელოვნების ცენტრში შემოქმედებით წრეებში გაერთიანებულია დაახლოებით 250 ადამიანი. აქედან უმრავლესობა ახალგაზრდობაა, რომლებიც ბავშვობიდან ეუფლებიან ქართული სიმღერის და ცეკვის ხელოვნებას.

ჩვენი შემოქმედებითი ანსამბლები მთელი წლის მანძილზე მონაწილეობენ მრავალ ფესტივალსა და კონკურსში. მათი გამარჯვებები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას , რომ ხარაგაულში კულტურის ტრადიციები გრძელდება და ახალ სიმაღლეზე ადის.

ხარაგაულელი ახალგაზრდები მთელი წლის განმავლობაში ჩართული არიან კონკურსებში, ფესტივალებში , საგანმანათლებლო პროექტებში, რომელსაც აფინანსებს მუნიპალიტეტის მერია.

უკვე რამოდენიმე წელია მერიის კულტურის სამსახურის ხელშეწყობით ხდება ახალგაზრდების ინიციატივების დაფინანსება . გასულ წელს, 4 მაისს მერიის ხელშეწყობით, ხარაგაულის მე-3 საჯარო სკოლის და მარელისის სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო პროექტში ,,დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“, რომელიც გაიმართა ქალაქ ზუგდიდში, წელს ბორის სკოლის ახალგაზრდული კლუბი იმყოფებოდა ქ. თბილისში სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მოსწავლეები მერიის ხელშეწყობით იმყოფებოდნენ სიღნაღში. წელს ასევე დაფინანსდა ხარაგაულის სალოტბარო სკოლის გასვლითი ღონისძიებები ქუთაისსა და თბილისში.

ხარაგაულში განსაკუთრებული დამოკიდებულებაა თეატრალური ხელოვნების მიმართ. მომავალ წელს ჩვენ თეატრს 125 უსრულდება. თეატრისადმი ინტერესის გამოხატულებაა ის მრავალრიცხოვანი ახალგაზრდა მაყურებელი , რომელიც ესწრება სპექტაკლებს. ამის გათვალისწინებით უკვე მესამედ , 27 მარტს , მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებით აღინიშნება თეატრის საერთაშორისო დღე.შარშან ამ თარიღთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ თეატრში მოღვაწე უფროსი თაობის წარმომადგენლები. თეატრის საერთაშორისო დღეს ხარაგაულის თეატრი სპეციალურად უფროსკლასელებისათვის უკვე მესამედ აწყობს სპექტაკლების ჩვენებას.

ჩვენი სამსახურის ორგანიზებით იმართება ღვაწლმოსილი ადამიანებუს საიუბილეო საღამოები.მარტის თვეში მოეწყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების მეთოდისტის თადული გაჩეჩილაძის იუბილე და გაცილების საღამო. ივნისში აღინიშნა ხარაგაულის სახალხო თეატრის მსახიობის ლუიზა კიკნაძის 70 წლის იუბილე.

უკვე მეორე წელია ჩვენი სამსახური ორგანიზებით იმართება ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიაც მონაწილეობენ დაბის სკოლების უმცროსკლასელები, ასევე იმართება ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა. წელს მთელი საქართველოს ჩართულობით შემუშავდა ქართული ენის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი.დოკუმენტის ფარგლებში მომავალში დაიგეგმა რამოდენიმე

ღონისძიება, რომელშიაც ჩართული იქნება ჩვენი სამსახური, ისტორიული მუზეუმი და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი.

მარტიდან განახლდა და კვლავ მიმდინარეობს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური თამაშები. აღნიშნული პროექტი ფინანსდება მუნიციპალიტეტის მერიიდან. მონაწილეებისათვის შეძენილია ფორმები და უზრუნველყოფილია მონაწილე გუნდების ტრანსპორტირება. სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში

მონაწილეობას ღებულობს 21 საჯარო სკოლის 850 მოსწავლე. ბავშვები მონაწილეობას ღებულობენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში:მინი ფეხბურთი, კალათბურთი, გეზრბენი, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი,ბადმინტონი, სპორტულ შემეცნებითი და მხიარული სტარტები. დეკემბრის ბოლოს დასრულდა მუნიციპალური ეტაპი და გამარჯვებული გუნდები 2024 წლის გაზაფხულიდან ჩაერთვნენ რეგიონალურ ტურნირში, რომელიც ჩატარდა იმერეთის მაშტაბით. ტურნირში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის გამარჯვებულმა გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა. სულ 68 მოსწავლემ. მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ფორმების შეძენა უზრუნველყო მერიამ. ბავშვებმა იასპარეზეს სპორტის სახვადასხვა სახეობებში : მინი ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ბადმინტონი,მაგიდის ჩოგბურთი, გეზრბენი, მხიარული სტარტები.

მხიარულ სტარტებში ხევის საჯარო სკოლამ დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი. კალათბურთში ვაჟებს შორის მეორე საჯარო სკოლის გუნდმა დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი.

ამით დასრულდა სასკოლო სპორტული ოლიამპიადის 2023-2024 წლის თამაშები. მომავალი სეზონი დაიწყება შემოდგომაზე , სადაც კვლავ აქტიურად ვიქნებით ჩართული საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და სპორტისა და შიდა ტურიზმის განვითარების სამსახურთან ერთად.

რამოდენიმე წელია უკვე ახალგაზრდების ინიციატივით ტარდება სოფლებში ჩემპიონატი დოღში. აღსანიშნავია ახალგაზრდების დაინტერესება დოღით და მათი მიღწევები. ამ სპორტის პოპულარიზაციას ხელს უწყობს მერია. წლებია უკვე აღნიშნული მიმართულებით ფინანსდება სხვადასხვა სოფლებში გამართული შეჯიბრებები. 26 მაისს და 28 აგვისტოს ჩატარდა ვახანში ტრადიციული დოღი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. სექტემბრის თვეში დოღი გაიმართა სოფელ ხიდარში.

უკვე მეორედ ოქტომბერში ბათუმში გამართულ ,,შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალში“ მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ანსამბლებმა.

5 ოქტომბერს აღინიშნა პედაგოგთა საერთაშორისო დღე. სპეციალურად პედაგოგებისათვის გაიმართა ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის სპექტაკლის ,,დოდოს მოლოდინის“ ჩვენება. წლებია ჩვენი სამსახურის ორგანიზებით ტრადიციულად აღინიშნება ეს დღე და პედაგოგებს გადაეცემათ საჩუქრები .წინა წლებში ჩატარდა პედაგოგთა თვითშემოქმედების საღამო, მოეწყო მათი ნამუშევრების გამოფენა.

2023 წლის დეკემბერში სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში ჩატარდა ,,მხიარულ სტარტები“ მუნიციპალიტეტის 15 საჯარო სკოლისათვის. ფინალური შეხვედრები გაიმართა ხარაგაულის სპორტდარბაზში. გამარჯვებულმა გუნდმა მონაწილეობას მიიღებო რეგიონალურ ჩემპიონატში. ასევე ,,მხიარული სტარტები“ ჩატარდება ნადაბური, ვერტყვიჭალის, ხუნევის, უბისის და ბორითის სკოლების უმცროსკლასელებისათვის.

29 მაისს განსხვავებული ფორმატით ჩატარდა ,,მხიარული სტარტები“ სოფელ ლეღვანში. მონაწილეობდნენ მარელისის, ზვარის, ვერტყვიჭალის, კიცხის სკოლები.

სამსახური აქტიურად იყო ჩართული ახალგაზრდულ ფესტივალში. ფესტივალის ფარგლებში მოაწყო კულტურისა და დასვენების პარკში სამაგიდო თამაშების ჩემპიონატი. ასევე ფესტივალის ფარგლებში აღინიშნა ველოსიპედების საერთაშორისო დღე. ფესტივალის ფარგლებში ასევე მერიამ ფულადი პრემიით დააჯილდოვა პროექტ ,,რჩეულში“ გამარჯვებული ახალგაზრდა.

1 ივნისს ბავშვთ დაცვის დღესთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის მოეწყო ,,ზღაპრის გმირების“წარმოდგენა.

6 ივნისს ადმისტრაციულ ერთეულებს შორის ჩატარდა ,,მხიარული სტარტები“. მონაწილეობდა 4 ტერიტორიული ერთეულის გუნდი. სულ 54 ახალგაზრდა. გამარჯვებული ახალგაზრდებისათვის მოეწყო ექსკურსია .

13 ივნისს სოფელ ვერტყვიჭალაში გაიმართა ღვაწლმოსილ პედაგოგებთან შეხვედრა. ამით დაიწყო პროექტი ,,მადლობა მასწავლებელო“, რომელიც მიზნად ისახავს ღვაწლმოსილი პედაგოგების გაცილებას და ღვაწლის დაფასებას. შეხვედრები გაიმართ სოფელ ნადაბურში და სოფელ კიცხში.ასევე შეხვედრა გაიმართა დაბის მეორე საჯარო სკოლაში.11 ივნისს შეხვედრა გაიმართა მარელისის საჯარო სკოლაში.

ტრადიციულად ჩავერთეთ ევროპის სპორტის კვირეულის აღნიშვნაში და ჩვენი სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა ,,მხიარული სტარტები“. მონაწილეობდა 4 საჯარო სკოლის მოსწავლეები. სექტემბრის ბოლოს დაიწყო სახელმწიფო რწმულებულის თასზე შეხვედრები მუნიციპალიტეტებს შორის მინი ფეხბურთში. ყოველწლიურად ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მონაწილეობას ღებულობს სამოყვარულო ლიგის ფეხბურთის ტურნირში. 2023 წელს მონაწილეობა მიიღო ოთხმა გუნდმა და გამარჯვებულმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო რეგიონალურ ტურნირზე. 2023 წლის აგვისტოში პირველად ჩატარდა ხარაგაულელი ახალგაზრდის ვანო ბანცაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. ტურნირი ჩატარდა მაშტაბურად და მასში მონაწილეობდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან 12 გუნდი.

ჩვენი სამსახური აქტიურად იყო ჩართული ,,ხარაგაულობის“ სახალხო დღესასწაულის აღნიშვნაში.

21 ოქტომბერს მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებით ახალგაზრდა პედაგოგები იმყოფებოდნენ ახალციხეში გამართულ პურის ფესტივალზე, სადაც გაეცვნენ პურის კულტურას საქართველოში და ხორბლის სხვადასხვა ჯიშებს.

გასულ წელს პირველად განხორციელდა პროგრამა წაჩინებული აბიტურიენტების წასახალისებლად. ფულადი ჯილდო გადაეცათ აბიტურიენტებს, რომლებმაც მისაღებ გამოცდებზე დაიმსახურეს დაფინანსება. სულ ამ პროექტზე გასულ წელს გამოიყო 6600 ლარი. დაჯილდოვდა 19 ახალგაზრდა.

20 დეკემბრიდან 29 დეკემბრამდე მიმდინარეობდა სასახალწლო კარნავალი , რომელშიაც მონაწილეობდა 19 საჯარო სკოლის 300 მოსწავლე. მერიისაგან მონაწილე ბავშვებს გადაეცათ ტკბილეული.

27 დეკემბერს ქუთაისში გაიმართა პროექტი,,ამღერებული იმერეთი“ .მონაწილეობა მიიღო ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებულმა ვოკალურმა ანსამბლმა .

3 მარტს მოეწყო საზეიმო შეხვედრა საგანმანათლებლო სივრცეში მოღვაწე მრავალშვილიან დედებთან. ჩენ სამსახურთან ერთად ღონისძიებაში აქტიურად იყო ჩართული განათლების პროფკავშირები. 28 ქალბატონს მერიის მიერ საჩუქრად გადაეცათ მცირედი საოჯახო ტექნიკა.

6 აპრილს ტრადიციულად აღინიშნა ,,მსოფლიო სპორტის „დღე. კულტურისა და დასვენების პარკში მოეწყო სიმბოლური გარბენი , რომელშიდაც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები.

წელს საქართველოს კულტურის სამინისტრომ დაიწყო პროექტი ,,შემოქმედებითი ინდუსტრიები“. აღნიშნული პროექტი მიმდინარეობს რამოდენიმე ეტაპად.აქტიურად ჩართული ვიყავი პირველ ეტაპზე ზედამხედველობის სასახურთან ერთად. მოპოვებული იქნა გრანტი 5000 ევრო. პროექტი გრძელდება.

ჩართული ვართ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი დოკუმენტის შემუშავებაში.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

ა.ა.იპ. ხარაგაულის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი არის სკოლისგარეშე სასწავლო დაწესებულება, რომელიც ეხმარება ბავშვებს თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში, რაც გამოიხატება შემდეგში: მოსწავლეთა სახლი აქტიურად თამამშრომლობს მუნიციპალიტეტის სკოლებთან, აცხადებს სხვადასხვა კონკურსებს და ატარებს საქმიან და კულტურულ ღონისძიებებს, ხელს უწყობს მოსწავლეებისათვის თავისუფალი დროის სწორ ორგანიზებას და მოზარდთა ინტერესების ყოველმხრივ განვითარებას.

მოსწავლეთა რაოდენობა სახელობითი სიით შეადგენს 230 ბავშვს, ისინი გაერთიანებული არიან წრეებში თავიანთი შესაძლებლობების მიხედვით, ზოგიერთი ბავშვი 2-3 წრეშია გაერთიანებული.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი წლის განმავლობაში ორჯერ ახალ წელს და ბავშვთა დაცვის დღეს აწყობს ორ საჩვენებელ კონცერტს, სადაც მონაწილეობს შემოქმედებით წრეებში გაერთიანებული ყველა მოსწავლე.

მთელი წლის განმავლობაში ეწყობა შემოქმედებითი , გასართობი ხასიათის მრავალი ღონისძიება. ესენია:ინტელექტუალური შეჯიბრები, ლექცია -საუბრები საქართველოს ისტორიაზე, დედის და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, მუსიკალური შეჯიბრები , ფოტოკონკურსები, ხატვის კონკურსები.

უკვე რამოდენიმე წელია მოსწავლე ახალგაზრდობი სახლი საზაფხულო ბანაკს აწყობს. შარშან 10 ივლისიდან 15 ივლისამდე მიმდინარეობდა ეს პროექტი და მასში მონაწილეობდა 70 ბავშვი.

გასული წლის ოქტომბერში თბილისის მოსწავლეთა სასახლეში საერთაშორისო კინო ფესტივალი „თბილისური აისი“ გაიმართა , სადაც მონაწილეობდა მოსწავლეთა სახლის მიერ შექმნილი ფილმი „ცისკრის ვარსკვლავი“. ფილმმა დაიმსახურა ჯილდო ნომინაციაში .

დღეის მდგომარეობით მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 12 დასახელების წრე: ნორჩ-მათემატიკოსთა, მხარეთმცოდნეობის, ინგლისური ენის შემსწავლელი, ხატვის, ლიტერატურული თეატრის , ხეზე კვეთის,(სოფელ მარელისში) მაკრამეს, ხალხური სიმღერებისა და საკრავების წრე (სოფელ კიცხში, მარელისში და ლეღვანში), საესტრადო სიმღერის, საეკლესიო საგალობლების კინომოყვარულთა წრეები, აგრეთვე სპეციალური საჭიროების ბავშვთა ჯგუფი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული მუსიკალური სტუდია „ჰარმონია. რომელიც სწავლას ახორციელებს ხარაგაულსა და ვერტყვიჭალაში აღნიშნულ წრეებში ყოველდღიურად მიმდინარეობს სხვადასხვა აქტივობები და ღონისძიებები. საანგარიშო წელი გამოირჩევა ნამდვილად ღონისშიებების სიმრავლით. მხოლოდ მოსწავლეტა სახლში საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 100- ზე მეტი ღონისძიება. რა თქმა უნდა ყველა ღონისძიება არაა ფართო მაშტაბის, მაგრამ ყველაში ჩართული არიან ახალგაზრდები და ყველა ბავშვს ეძლევა გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები და თავისუფალი დრო გამოიყენოს შინაარსიანად.

ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმი, მასში დაცული მხარის ისტორიული და არქეოლოგიური უნიკალური მასალით,ნამდვილად გახლავთ ხარაგაულის სავიზიტო ბარათი. დღეს,როცა დიდი აქცენტები კეთდება ახალგაზრდების შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე და კიდევ უფრო იზრდება მუზეუმის როლი და მნიშვნელობა.

საქართველოს დამსახურებული მხატვრის, ხელოვნების ქურუმის, ლევან ცუცქირიძის სახელობის სამხატვრო სტუდიის ხელმძღვანელის, მამუკა ცუცქირიძის ინიციატივით კვლავ გრძელდება მუზეუმისთვის საჩუქრად გადმოცემული ფერწერული ტილოების დამუშავება და საგამოფენოდ მომზადება, რამაც დღემდე 300-ზე მეტი ერთეული შეადგინა. ივლისის თვეში გალერეას შეემატა ცამეტი ნამუშევარი.

მთელი წლის განმავლობაში ჩვენი მუზეუმი ეხმიანება ყველა მნიშვნელოვან კალენდარულ თარიღს და მოვლენას .

18 მაისს მუზეუმის ინიციატივით უკვე მრავალი წელია ეწყობა ეროვნული სამოსის დღე, რომელიც მოიცავს ღონისძებებს და მსვლელობას.

წლების განმავლობაში მუზეუმში ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ტრადიციად იქცა. ასეთებია:

მუზეუმების საერთაშორისო კვირეული, რომლის ფარგლებში მრავალი საინტერესო ღონისძიება ტარდება; ,,მოდი ღამე მუზეუმში“, მუზეუმების საერთაშორისო დღე“, ,, ეროვნული სამოსის დღე’’.

ხშირად ეწყობა ფოტოგამოფენები.წელს განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქალთა დღისადმი მიძღვნილი გამოფენა,, გარდასულ დღეთა მშვენიერება“.

იმართება ტრადიცილი პროექტები, რომელშიაც ყოველთვის ხალისით ერთვებიან ახალგაზრდები: ,,მოხატული კერამიკა’,,, პატარა არქეოლოგები’’, მე ვხატავ ანიმაციას, ჩემი პარატარა ხელებით...

რამოდენიმე წელია აღინიშნება ევროპული მემკვიდრეობის დღეები.

ხარაგაულის ისტორიულმა მუზეუმმა ,,ხარაგაულობის“ დღესასწაულზე წარმოადგინა ფოტო გამოფენა ,,ძველი ხარაგაული“ და ეთნოგრაფიული ნივთების გამოფენა.

ძალიან სასიხარულოა ის ფაქტი ,რომ მუზეუმი თანამშრომლობს საგანმანათლებლო სფეროსთან და ხშირად ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით , მუზეუში ხარაგაულის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით გაიმართა ღონისძიება

პრობლემად რჩება საგამოფენო სივრცის სიმცირე და გათბობის საკითხი.ასევე მოსაწესრიგებელია შენობის გარე ფასადი.

ამჟამად მუზეუმში გროვდება მასალები ხარაგაულში მოღვაწე ადამიანებზე, სხვადასხვა დარგის ისტორიაზე .

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი''

2023 წლის სპორტული ღონისძიებები:

ხარაგაული წარმატებით აგრძელებს მდიდარ სპორტულ ტრადიციებს. ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და სპორტის პოპულარიზაციას ემსახურება ,, სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი.''

სპორტული დარბაზში და მუნიციპალიტეტის სოფლებში ფუნქციონირებს 14 სპორტული სექცია და ვარჯიშობს 450-მდე ბავშვი. ეს სექციებია: ფეხბურთის ორი სექცია, კალათბურთის (გოგონები და ვაჟები), თავისუფალი ჭიდაობა , ძიუდო, კარატე, მაგიდის ჩოგბურთი,ჭადრაკის წრე,რაგბი. სოფლებში მუშაობს შემდეგი წრეები: ხევში - მძლეოსნობა და ძიუდო, ნადაბურში - კალათბურთი, ვერტყვიჭალაში - კალათბურთი (გოგონები), სპორტული კარატე, ბორითი - ძიუდო და ფეხბურთი, კიცხი - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ბორი- კალათბურთი, ტაიკვანდო, მკლავჭიდი,მაგიდის ჩოგბურთი, ზვარე - ძიუდო, ღორეშა-ძიუდო. წლის განმავლობაში ეწყობა მრავალი სპორტული შეხვედრა. ჩვენი სპორტსმენები სახელოვნად მონაწილეობენ საერთაშორისო ტურნირებში და აღწევენ მნიშვნელოვან წარმატებებს. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია უამრავი ღონისძიება . მხოლოდ შევჩერდები ყველაზე მნიშვნელოვანზე.

2023 წლის 7 – 10 იანვარს ქალაქ ბათუმში ჩატარდა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში დიდებს შორის, სადაც ზაურ ბერაძემ და ევსემ შველიძემ დაიკავეს მეორე ადგილი.

2023 წლის 11 -12 თებერვალს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში გოგონათა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო ჩვენი ცენტრის მოჭიდავემ ნინო ჭყოიძემ და დაიკავა მესამე ადგილი.

ნინო ჭყოიძეს ა(ა)იპ "სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი"-ს წესდების საფუძველზე გადაეცა ფულადი ჯილდო 600 ლარის ოდენობით, ა(ა)იპ-ის ბიუჯეტიდან.

2023 წლის 6-7 მაისს ქალაქ თბილისში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი მკლავჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღო ნიკა ჩხიკვაძემ და მოიპოვა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის საგზური. ნიკა ჩხიკვაძეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაუფინანსდა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯები სრულად.

2023 წლის ივნისში ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“-ს დარბაზში ჩატარდა დამსახურებული მწვრთნელის ანზორ მაღრაძის ხსოვნის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ნაკრებმა გუნდებმა.

2023 წლის აგვისტოში მუნიციპალიტეტის მერიასა და შ.პ.ს საფეხბურთო კლუბ „ დინამო თბილისის“ საფეხბურთო სკოლას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რის საფუძველზეც ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“-სა და შ.პ.ს საფეხბურთო კლუბ „ დინამო თბილისის“ საფეხბურთო სკოლასთან დაიდო ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად ჩვენი სპორტსკოლის 2013 წელს დაბადებული ფეხბურთელთა გუნდი იღებს მონაწილეობას აკადემიის მიერ ორგანიზებულ საფეხბურთო ფესტივლებზე.

აგვისტოში ყაზახეთში, ქალაქ ალმატიში ჩატარდა 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მკლავჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულელმა სპორტსმენებმა ნიკოლოზ ჩხიკვაძემ და ნიკოლოზ ტაგანაშვილმა. ორივე სპორტსმენს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯები სრულად დაუფინანსა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

2023 წლის აგვისტოში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მარელისში მოეწყო ახალგაზრდული საზაფხულო კარვების ბანაკი სამ ნაკადად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის 110 მოსწავლემ.

ტრადიციულად აგვისტოში ტარდება ნოდარ ახალკაცის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში, სადაც მონაწილეობას ღებულობენ როგორც ჩვენი მუნიციპალიტეტის, ასევე და სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ფეხბურთელთა გუნდები.

2023 წლის 8 აპრილს ხარაგაულში ჩატარდა გოჩა ბუაჩიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში გოგონათა შორის. ტურნირში მონაწილეობას ღებულობდნენ ქუთაისის, საჩხერის, ჭიათურის, ვერტვიჭალისა და დაბა ხარაგაულის ნაკრები გუნდები. გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდა გოჩა ბუაჩიძის სახელობის თასით.

2023 წლის 13 აპრილს ხარაგაულში ჩატარდა გოჩა ბუაჩიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის მინი ფეხბურთში, სადაც გამარჯვებულ გუნდს გადაეცა თასი.

2023 წლის 18 -19 აპრილს ქალაქ თბილისში ჩატარდა ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის მეცხრე საკლუბო შეჯიბრი ძიუდოში,სადაც მონაწილეობა მიიღო 15 მოსწავლემ.

2023 წლის 2 მაისს ქალაქ ქუთაისში ჩატარდა კოლია ქვარიანის სახელობის ტურნირი ძიუდოში, სადა მონაწილეობა მიიღო შვიდმა ძიუდოისტმა წარმატებულად.

2023 წლის 27 მაისს ქალაქ თბილისში ჩატარდა თბილისის ჩემპიონატი კარატეში. მონაწილეობდა ოთხი მოსწავლე.

2023 წლის 7 ივლისს სოფელ უბისაში ახალაშენებულ მოედანზე, ადგილობრივი ახალგაზრდების ინიციატივით და ჩვენი მხარდაჭერით, ჩატარდა „უბისის თასის“ გათამაშება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის, მინი ფეხბურთში.

ჩვენი მხარდაჭერით, 2023 წლის 4 სექტემბერს ხარაგაულში ჩატარდა თენგიზ ჭიპაშვილისა და ელისო ჭიპაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრი იორღების საცხენოსნო დოღში.

2023 წლის 27 აგვისტოს ჩვენი მხარდაჭერით სოფელ ვახანში ჩატარდა მერაბ არევაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ქართულ ჭიდაობაში და ტრადიციული დოღი.

2023 წლის 6 სექტემბერს ჩვენი დახმარებით სოფელ ხიდრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ზაზა გლუნჩაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრი დოღში, ასევე აფხაზეთის ომში დაღუპული არსენ ბერაძის ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

2023 წლის 27-28 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კალთბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღეს სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის კალათბურთელ გოგონათა ნაკრებმა გუნდმა.

2024 წლის 8-10 მარტს ქალაქ თბილისში ჩატარდა თბილისის ღია პირველობა მკლავჭიდში, სადაც მარჯვენა მკლავში მესამე ადგილი დაიკავა გიორგი წარიაშვილმა, მარჯვენა და მარცხენა ხელში - ნიკოლოზ ჩხიკვაძემ.

2024 წლის 16 მარტს ქალაქ ჩოხატაურში გაიმართა საქართველოს ასაკობრივი ფესტივალი რაგბში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა რაგბისტებმა.

2024 წლის 11-14 აპრილა ქალაქ ქუთაისში ჩატარდა იმერეთის ღია პირველობა ტაეკვონდოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის სპორსტსმენებმა და წარმატებით იასპარეზეს.

2024 წლის 17 აპრილს ქალაქ საჩხერეში ჩატარდა ნიკოლოზ ცქიტიშვილის სახელობის ტურნირი კალთბურთში ვაჟთა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა კალთბურთელებმა და დაიკავეს მეორე ადგილი.

2024 წლის 10-12 მაისს ქალაქ თბილისში ზურაბ იარაჯულის სახელობის მემორიალური ტურნირი ტაეკვონდოში, სადაც ექვსმა მოსწავლემ დაიკავა საპრიზო ადგილები.

ივნისის თვეში ჩვენი ცენტრის თანამშრომლების ორგანიზებით სკოლის მოსწავლეებისთვის მოეწყო ლაშქრობა ხერგილზე- მაისუროვზე ორი დღით.

2023 წლის აგვისტოში სოფელ მარელისში მოეწყო ახალგაზრდული ბანაკი სამ ნაკადად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 115 მოსწავლემ.

2024 წლის მარტის თვეში ჩატარდა ფოტოკონკურსი „ჩვენი გაზაფხული ხარაგაულში“, სადაც გამოვლინდა სამი გამარჯვებული მოსწავლე და გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

ა(ა)იპ,,კულტურის და ხელოვნების ცენტრი“

ხარაგაულის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი შეიქმნა 2018 წელს, რომელშიც გაერთიანდა ხარაგაულის კულტურის ცენტრი, ისტორიული მუზეუმი, ლიტერატურული თეატრი და ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა.

2023 წელს კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ბიუჯეტი განისაზღვრა 927 ათასი ლარით, მოხდა სახელფასო ფონდის 10 პროცენტიანი მატებით.

გარდა იმისა, რომ ბიბლიოთეკა ემსახურება მკითხველებს. აქაც, როგორც ერთ-ერთ მნიშველოვან საგანმანათლებლო დაწესებულებაში მთელი წლის განმავლობაში , ტარდება არაერთი საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებები: პროექტი , ,,სტუმრად ბიბლიოთეკაში“,,ცოცხალი წიგნები“ , შეხვედრა მწერალთან“, ვინ წამიკითხავს ზღაპარს'' და სხვა.

ყოველი წლის გაზაფხულზე ტრადიციულად ტარდება საბიბლიოთეკო კვირეული, რომელშიაც ჩართულია მთელი გაერთიანება. ყველა განყოფილებაში ეწყობა ღონისძიება.

ყოველწლიურად ხდება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება. გასულ წელს შეძენილი იქნა 900 ლარის წიგნები ვაუჩერით და 2500 ლარის წიგნები ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოფლის ბიბლიოთეკებისათვის.

ივნისის თვეში, ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა მონაწილეობა მიიღო იმერთის თეატრალურ ფესტივალში. წარმოდგენილი იქნა დავით ტურაშვილის პიესა ,,დოდოს მოლოდინში“. სპექტაკლმა გაიმარჯვა ორ მთავარ ნომინაციაში. ხარაგაულში სპექტაკლი გაიმართა სამჯერ. სპექტაკლი ნაჩვენები იქნა თბილისში. უკვე ათი წელია ,რაც ხარაგაულის თეატრი ახალ სპექტაკლს აჩვენებს თბილისელ მაყურებელს.

სექტემბერში გაიმართა ტრადიციული ლიტერატურული კონკურსი,, ოდეონი“ გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულმა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილადოვებულმა ადამიანებთან. გამოვლინდნენ გამარჯვებულები. მონაწილეები დაჯილდოვდნენ. გამოიცა წიგნი. აღსანიშნავია და მისასალმებელია, რომ გაიმართა ,,ოდეონი“ ახალგაზრდებისათვის. მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულელმა ახალგაზრდებმა. ეს არის მათი ნიჭის წარმოჩენისათვის საუკეთესო პროექტი.

2023 წლის ოქტომბერში ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის თეატრის ინიციატივით და ორგანიზებით გაიმართა სამხატვრო პლენერი ,,გამა“. დასკვნითი ღონისძიება გაიმართა ხარაგაულის კულტურისა და დასვენების პარკში და მასში მხატვრებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საოპერო ხელოვნების წარმომადგენლებმა. მხატვრებმა პლენერის ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები საჩუქრად გადასცეს ხარაგაულს.

4 ნოემბერს გაიმართა ,,ხარაგაულობის'' სახალხო დღესასწაული. ღონისძიებაში ჩართული იყო კულტურული მიმართულების ყველა დაწესებულება. გაიმართა საზეიმო კონცერტი, გაიხსნა რეაბილიტირებული კულტურისა და დასვენების პარკი, გაიმართა თეატრალიზებული პერფომასი, მოეწყო ხარაგაულზე შექმნილი წიგნების და ძველი ხარაგაულის ფოტოების გამოფენა. წარმოდგენილი იყო შემოდგომის ნობათი ტერიტორიული ერთეულების მიერ. წარმოდგენილი იყო სპორტული მიმართულების წრეები, ტურიზმის ცენტრი, მოსწავლე ახალგაზრდობის საახლი.

კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით 5 აპრილს დაიწყო და 19 მაისს დასრულდება „ახალგაზრდული ფესტივალი“.

ფესტივალის ორგანიზებაში მონაწილეობას ღებულობენ: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია, კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, საგანმანათლებლო რესურსცენტრი, სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი და სამუსიკო სკოლა .

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით ბევრი ღონისძიებაა ჩატარებული კულტურისა და ხელოვნების ცენტრში სხვადასხვა მიმართულებით.

აღსანიშნავია ინტელექტუქლური თამაში ,,რა , სად, როდის“ სხვადასხვა ასაკში. თამაშები ჩატარდა სეზონურად.

აგრეთვე აღსანიშნავია ჩვენი ახალგაზრდული გუნდის ,,ჭირიმეს“ წარმატებული მონაწილეობა ქართულ ლიგაში და მისი გამარჯვებები. ,,ჭირიმე „ კვლავ ფინალში და ველოდებით წარმატებას.

საანგარიშო პერიოდში მრავალი კონცერტი გაიმართა ჩვენი შემოქმედებითი ძალების მონაწილეობით. მათგან აღსანიშნავია კომპოზიტორ მაცაცო სებისკვერაძის შემოქმედებითი საღამო და ქართული საგალობლების საღამო.

27 ივნისს გაიმართება სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ ,,უბისის“ შემოქმედებითი კონცერტი.

საანგარიშო პერიოდში აღინიშნა ყველა კალენდარული მნიშვნელობის დღესასწაული. 26 მაისს ტრადიციულად ჩატარდა კონცერტი.

ჩვენი სიმღერის და ცეკვის ანსამბლები მთელი წლის განმავლობაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ფესტივალებში და კონკურსებში.

29 მაისს ანსამბლი „უბისი“ და ანსამბლ „მთიელი“ მონაწილეობდნენ თბილისში გამართულ ქორეოგრაფიულ ფესტივალში.

20 მაისს ფესტივალ „არტ-გენზე“ იმყოფებოდა ანსამბლი,, ოდილა''

6 ოქტომბერს „ვარინკობის“ ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ხარაგაულის სიმღერის ანსამბლებმა.

10 დეკემბერი ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი „პანთეონის მკვიდრი ხარაგაულელები“ პრემიერა ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის მიერ.

12 იანვრიდან ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის ინიციატივით დაიწყო ახალი პროექტი, „როცა ერთმანეთს ვჭირდებით“.

26 იანვრიდან ხარაგაულის "თოჯინების თეატრმა" დაიწყო მოგზაურობა მუნიციპალიტეტში შემავალ საბავშვო ბაღებში, (ვარძია, კიცხი, ხიდარი, წყალაფორეთი, ვერტყვიჭალა, ბორითი, ხუნევი, გედსამანია და სხვ.)სადაც ჩვენი პატარებისათვის თოჯინების წარმოდგენა გამართა. თოჯინების თეატრი ზაფხულშიდაც გამარტავს სპექტაკლებს სოფლებში.

28 თებერვალს, ზეპირსიტყვიერების დარგის სპეციალისტის, ნიკო წიკლაურის ორგანიზებით გაიმართება ,,ექსპრომტების საღამო".

3 მარტს, ხარაგაულის ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,უბისი" წარმატებით წარსდგა ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გამართულ ფესტივალზე.

საერთაშორისო საბავშვო ქორეოგრაფიულ ფესტივალში ,,მომავალი ჩვენია" მონაწილეობისთვის და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისთვის ,,უბისი" ლაურეატის დიპლომით დაჯილდოვდა, ხოლო ანსამბლის ხელმძღვანელებს, ელისო და ზაზა ლურსმანაშვილებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II -ის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭათ.

მათთან ერთად წარმატებით მოღვაწეობს ანსამბლი „მთიელი“, რომლებმაც ხარაგაულის სახელით არაერთ ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა და ყოველთვის წარმატებულად.

6 -12 მარტს ქალთა სართაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა სპექტაკლის პრემიერა „იუბილე სიურპრიზებით“, რომელმაც მაყურებელში დიდი მოწონება დაიმსახურა და მოგვიანებით სპექტაკლი ნაჩვენები იქნა ბორითის სასოფლო კლუბში.

საინტერესოდ ჩატარდა საბიბლიოთეკო კვირეული, რომელიც 22 აპრილს დაიწყო და 30 აპრილს დასრულდა. კვირეულის ფარგლებში არა ერთი საინტერესო ღონისძიება გაიმართა სოფლის ბიბლიოთეკართა ჩართულობით და ორგანიზებით. დასკვნით ღონისძიებაზე მოხდა გამოჩეული და აქტიური ბიბლიოთაკარების დაჯილდოება. წარმატებით მუშაობს პროექტი „მოძრავი ბიბლიოთეკა“, რომელშიც ჩართულები არიან სოციალურად დაუცველთა პროგრამით დასაქმებული თანამშრომლები. ამ პროგრამის ფარგლებში დამატებით 300ზე მეტ ოჯახს მოემსახურენ წიგნების მიტანით სახლიდან გაუსვლელად.

ცალკე გამოსაყოფია ინოვაციების ცენტრის პროექტი, რომელიც გერმანიის მხარის დაფინანსებით განხორციელდა და რომლის ფარგლებშიც 100 ათასი ლარის ღირებულების ინვენტარი იქნა შეძენილი, მათ შორის ავეჯი, მაღალი დონის კომპიუტერები, დრონი, ფერადი პრინტერი, ჭკვიანი დაფა, მონიტორი, ფოტოაპარატი და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მოხდა ინოვაციების ოთახისა და დარბაზის კეთილმოწყობა.

ივნისი გასაკუთრებით დატვირთულია ღონისძიებებით. თეატრი მუშაობას პრემიერაზე.

21 ივნისს მონაწილეობას მივიღებთ იმერეთის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში, წარმოდგენილი იქნება ნინია სადღობელაშვილი პიესა ,,ბამბაზიის სამოთხე“. 24 ივნისს პრემიერა გაიმართება ხარაგაულში. 26 ივნისს გაიმართება დახურვის და დაჯილდოვების ცერემონიალი მესხიშვილის თეატრში.

ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა

ხარაგაულში სამუსიკო განათლებას ემსახურება ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა.სამუსიკო სკოლაში მუშაობა მიმდინარეობს 4 მიმართულებით:

ფორტეპიანო

ვიოლინო

გიტარა

საესტრადო ვოკალი

წლის განმავლობაში სამუსიკო სკოლის მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა კონკურსებში . წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა მუსიკალურ ფესტივალებში. გასულ წელს სამუსიკო სკოლამ შემოგვთავაზა არაერთი საინტერესო ღონისძიება.

სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების აკადემიის მიერ ორგანზებულ კონკურსში, ფესტივალში ,,მომავლის ვარსკვლავები“, ფესტივალში ,,იმერეთის ხმა'' აგრეთვე კონფერენციაში ,,თაობათა ცვლა“.

მაისში ,,ახალგაზრდული ფესტივალის ფარგლებში“ გაიმართა კულტურისა და დასვენების პარკში ანსამბლ ,,გრავეს „ კონცერტი.

სექტემბერში გაიმართა მიუზიკლი ,,კონკიას' ჩვენება.

7-11 დეკემბერს ხარაგაულის სამუსიკო სკოლა მონაწილეობდა ქ. ბაქოში გამართულ საერთაშორისო კონკურსში, სადაც მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

დეკემბერში კინოთეატრის სცენაზე სამუსიკო სკოლის მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი იქნა ,,საახალწლო კარნავალი“.

ტრადიციულად აღინიშნა გაზაფხულის დღესასწაულები საფორტეპიანო კონცერტით.

წლევანდელი წელი იყო ძალიან დატვირთული კონკურსებით და ფესტივალებით. უნდა აღვნიშნოთ ის წარმატებები , რომელიც ბავშვებმა მოიპოვეს ამ კონკურსებზე.

ქ. წყალტუბოში გამართულ ეროვნული მუსიკის კონცერტზე პირველი ადგილი, ქ. ქუთაისში გამართულ კონფერენციაზე ,,თაობათა ცვლა“ მთავარი პრიზი, ფესტივალზე ,,მომავლის ვარსკვლავები“ მეორე საპრიზო ადგილი. ეს შედეგები გახლავთ პედაგოგთა თავდაუზოგავი მუშაობის შედეგი.

ივნისში გაიმართა ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი და 12 ივნისს ანსამბლ ,,გრავეს“ კონცერტი სოფელ ბორითში.

წელს მოწესრიგდა შენობის ფასადი . კვლავ პრობლემად რჩება სამუსიკო სკოლის გათბობის საკითხი.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი და 2 სასკოლო მზაობის ჯგუფი, სადაც აღსაზრდელთა რაოდენობა შეადგენს 470 ბავშვს. ბაღების უმრავლესობაში ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ ორი ბაღის შენობა საჭიროებს განახლებას. 2024 წლის სექტემბრიდან ფუნქციონირებას დაიწყებს სოფელ კიცხისა სოფელ ხევის თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საბავშვო ბაღები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 26 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლაა, მათ შორის ერთი კერძოა. მოსწავლეთა რაოდენობა 2046-ია, მათ შორის 201 კერძო სკოლაში იღებს განათლებას. მასწავლებელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 580, მათ შორის 28 კერძო სკოლაშია დასაქმებული.

სკოლებში ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია. 2015-2016 წლებში სოფელ ნებოძირსა და სოფელ მარელისში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა დაწყებით სასწავლო კორპუსებს. ასევე აღსანიშნავია, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ სკოლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საკითხები შესაბამისი ფინანსებით გადასცა მუნიციპალიტეტებს, შესაბამისად 2019 წელს რამოდენიმე სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია.

ამჟამად რეაბილიტაცია უტარდება სოფელ ვაშლევის იგეგმება ახალი სკოლების მშენებლობა სოფელ წყალაფორეთში და სოფელ ზვარეში.

ახლა მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო პრობლემებს. პრობლემები შექმნა კინოთეატრის შენობის დაზიანებამ. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ვფიქრობ დავუბრუნდებით ჩვენ სამუშაო სივრცეებს. ჯებირის ამოშენება საშუალებას იძლევა მდინარის მხრიდან მოემატოს შენობას ეზო , რაც ნამდვილად ძალიან საჭიროა. შესაძლებლობა მოგვეცემა ქორეოგრაფიული ანსამბლის და სამუშაო სივრცე გაემიჯნოს კინოთეატრს. ეს ხელსაყრელი იქნება , როგორც ანსამბლისთვის, ისევე კინოთეატრში მომუშავე შემოქმედებითი ჯგუფებისათვის.

კინოთეატრში გახმოვანების და განათების აპარატურა უკვე საჭიროებს შეცვლას. თეატრს არ აქვს გარდერობი და დეკორაციის შესანახი ადგილი. აუცილებელია შევიძინოთ მძლავრი პროექტორი, რაც საშუალება მოგვცემს ვნახოთ ფილმები ფართო ეკრანზე. კარგი იქნება თუ კინოთეატრის გვერდზე ხის ნაგებობა გადმოგვეცემა და გამოვიყენებთ დეკორაციის შესანახად.

როგორც ხედავთ, მთელი წლის განმავლობაში შემოქმედებითი ა.ი.პ -ების მიერ ტარდება მრავალი საინტერესო ღონისძიება. ტარდება ახალგაზრდული ფესტივალი, ქორეოგრაფიული ფესტივალი, საახალწლო ღონისძიებები და სხვა მრავალი ხალხმრავალი ღონისძიება. ყველა ღონისძიება ტარდება კულტურის ცენტრის დარბაზში, რომელის 300 მაყურებელს იტევს. აქვე მუშაობენ თეატრები, რომელთაც ესაჭიროებათ სცენაზე მუშაობა, დეკორაციის განთავსება და სამუშაო პირობების შექმნა. ხშირ შემთხვევაში მათი რეპეტიციები ხელს უშლის ერთმანეთს.კარგი იქნება , თუ მომავალში ცალკე სივრცე ექნება თეატრებს. ეს განტვრთავს სიტუაციას და ახლანდელი კინოთეატრი დაეთმობა უფრო მეტად ახალგაზრდული ღონისძიებებს .